



პროექტის ფარგლებში ხშირად დასმული კითხვები

„ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) ახორციელებს საქართველოში USAID-ის ზრდა პროექტის რეგიონულ ახალგაზრდულ სამეწარმეო პროექტს, რომლის მიზანია, მეწარმეობის მეშვეობით საქართველოს რეგიონებში (სოფლად) მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერება.

ახალგაზრდული კომპონენტის ფარგლებში, იგეგმება სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტის განხორციელება. პროექტი ითვალისწინებს 18-29 წლის ასაკის ჯგუფში სულ მცირე 500 ახალგაზრდის სამეწარმეო ტრენინგში ჩართვას საქართველოს 9 სამიზნე მუნიციპალიტეტში (ზუგდიდი, ბორჯომი, ასპინძა, ადიგენი, ნინოწმინდა, მარნეული, ბოლნისი, კასპი და გორი).

ტრენინგები ხორციელდება საქართველოს პირობებზე ადაპტირებული გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) სამეწარმეო-სატრენინგო სახელმძღვანელოს საფუძველზე. ტრენინგები ჩატარდება 9-ვე მუნიციპალიტეტში პარალელურად RDFG-ის მიერ გადამზადებული ტრენინგების მიერ.

ტრენინგების პირველ ეტაპში (2-3 დღიანი ტრენინგები მუნიციპალიტეტებში) მონაწილეობით დაინტერესებული ახალგაზრდები უნდა დარეგისტრირდნენ RDFG-ის მიერ მითითებულ ვებ-გვერდზე, რომელიც ტრენინგების დაწყებამდე სულ მცირე 2 კვირით ადრე აქტიურდება. თითო მუნიციპალიტეტში ტრენინგზე მიწვეული იქნება მაქს. 25 ახალგაზრდა. პრიორიტეტი მიენიჭება იმ პირებს, ვინც ყველაზე ადრე დარეგისტრირდება.

პროექტის ამ ეტაპის დასრულების შემდეგ, დაინტერესებულ ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სამეწარმეო იდეების კონკურსში, რომლის დროს, ტრენინგების პირველი ეტაპის დასრულებიდან დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში, ახალგაზრდებმა უნდა წარმოადგინონ სამეწარმეო იდეების წინადადებები 4 მიმართულებით: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინოვაცია/ტექნოლოგიები და შემოქმედებითი ინდუსტრიები.

იდეების კონკურსის დასრულების შემდეგ, RDFG-ის გუნდი შეარჩევს მინიმუმ 15 საუკეთესო სამეწარმეო იდეის (საპროექტო წინადადების) ავტორს ან ავტორთა გუნდს (მაქსიმუმ 3 ადამიანი), ვინც მიწვეულ იქნება სამეწარმეო-სასწავლო ბანაკში. ბანაკში (6-7 დღიანი) ახალგაზრდები გაივლიან დამატებით, ინტენსიურ ტრენინგებს წარმოდგენილი სამეწარმეო იდეების (საპროექტო წინადადებების) დასახვეწად, მათი ბიზნეს პროექტებად გადასაქცევად, და საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ბანაკის დასრულების შემდეგ, და საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღებამდე, სამეწარმეო საპროექტო წინადადებების ავტორებს დამატებით ექნებათ დრო (დაახლოებით 2 კვირა), რომლის განმავლობაში სრულად უნდა დასრულდეს მუშაობა შესაბამის ბიზნეს პროექტებზე, უნდა მომზადდეს საგრანტო განაცხადის ფორმა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტები/უწყისები, რაც ერთად უნდა წარედგინოს RDFG-ს. ბიზნეს პროექტების ფინანსური დოკუმენტების/უწყისების შესაბამისად მოსამზადებლად, საპროექტო წინადადებების ავტორებს დახმარებას RDFG-ის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი ფინანსური კონსულტანტი გაუწევს.

საგრანტო კონკურსის ეტაპზე, RDFG-ის საგრანტო კომისიის მიერ მოხდება საგრანტო განაცხადის ფორმით წარმოდგენილი საბოლოო ბიზნეს პროექტების და მათი თანდართული ფინანსური თუ სხვა დოკუმენტების განხილვა. ასევე, ბიზნეს პროექტების ავტორები პირადად წარდგებიან კომისიის წინაშე და წარადგენენ პროექტებს. კომისია გამოავლენს მინ. 3 გამარჯვებულ პროექტს, რომლებიც დაჯილდოვდებიან საგრანტო თანხით (თითო პროექტზე გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 10,000 ლარს).

პროექტი ხორციელდება 3 ფაზად: I და II ფაზები - 2019 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე, III ფაზა - 2020 წლის გაზაფხულზე.

პროექტი მიზნად ისახავს შემდეგი შედეგების მიღწევას:

- საქართველოს რეგიონებში მცხოვრები სულ მცირე 500 ახალგაზრდის გადამზადებას მეწარმეობის თემაზე;
- სულ მცირე 5 მდგარი საწარმოს შექმნას, რომელიც ჯამში 25 ადამიანს დაასაქმებს.

პროექტთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ “ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსათვის” (RDFG) ვებ-გვერდზე (www.rdfg.ge) ან მიიღოთ RDFG-ის ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, გაბრიელ ისაკაძის ქ. #4, 0160.

1. ვის შეუძლია პროექტში მონაწილეობის მიღება?

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 18-29 წლის ფიზიკურ პირს, რომელიც თავის სამეწარმეო საქმიანობას გეგმავს პროექტის სამიზნე ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა ფაქტიურად ცხოვრობს თუ არა იქ. შეზღუდვა ვრცელდება იმ ახალგაზრდებზე, ვინც უკვე მიიღო მონაწილეობა ტრენინგებში პირველი ფაზის განმავლობაში და გაიარა სრული სატრენინგო კურსი ინტენსიური სამეწარმეო ტრენინგების ჩათვლით.

2. რა არის პროექტის სამიზნე ტერიტორია?

პროექტი ხორციელდება ზუგდიდის, ბორჯომის, ასპინძის, ადიგენის, ნინოწმინდის, გორის, კასპის, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულსა და მის ფარგლებში შემავალ ყველა თემსა და სოფელში.

პროექტში მონაწილეობის მიღებით დაინტერესებულმა პირებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ და დაესწრონ ტრენინგებს იმავე სამიზნე ტერიტორიაზე, სადაც შემდგომში გეგმავენ სამეწარმეო საქმიანობას.

3. რა არის პროექტის სამიზნე სექტორები?

პროექტის სამიზნე სექტორებია: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინოვაციები და ტექნოლოგიები და შემოქმედებითი ინდუსტრიები¹.

4. რა ოდენობის დაფინანსების მიღებაა შესაძლებელი პროექტის ფარგლებში და როგორ განისაზღვრება თანამონაწილეობა?

¹ შემოქმედებითი ინდუსტრიები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: მუსიკა; კინო / ვიდეო; ლიტერატურა / გამომცემლობა; არქიტექტურა; სახვითი ხელოვნება; მედია / მაუწყებლობა; კულტურული მემკვიდრეობა; რეკლამა; დიზაინი / მოდა; საშემსრულებლო ხელოვნება; ციფრული ინდუსტრია; კულტურის განათლება; გასტრონომია; ტრადიციული რეწვა.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება მინიმუმ სამი საუკეთესო პროექტი, რომლებზეც მაქსიმუმ 10,000 ლარის დაფინანსება გაიცემა. საგრანტო კონკურსში თანამონაწილეობა სავალდებულო არაა, თუმცა სასურველი.

5. თანამონაწილეობაში ითვლება თუ არა არსებული ქონება ან/და ადამიანის შრომა?

პროექტის ფარგლებში, თანამონაწილეობაში ჩაითვლება შესყიდვები, რომელიც განხორციელებული იქნება RDFG-სთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. თანამონაწილეობაში არ ჩაითვლება არასაინვესტიციო ხარჯები.

6. რამდენი ეტაპისგან შედგება პროექტი?

პროექტის ფარგლებში:

- პირველ ეტაპზე, 9 მუნიციპალიტეტში ჩატარდება 2-3 დღიანი სამეწარმეო ტრენინგები ახალგაზდებისათვის სამეწარმეო იდეის გენერირებისათვის;
- მეორე ეტაპზე, ადგილობრივი ტრენინგების შემდეგ, ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საპროექტო იდეების კონკურსში - აღნიშნულ ეტაპის დასრულების შემდეგ მოხდება საპროექტო იდეების განხილვა, შეფასება და საუკეთესო (მინ. 15) საპროექტო იდეის ავტორების გამოვლენა;
- მესამე ეტაპზე, RDFG-ის მიერ გამოვლენილი საუკეთესო (მინ. 15) საპროექტო იდეის ავტორი ან ავტორთა გუნდი (მაქს. 3 ადამიანი) მიწვეულ იქნება ინტენსიურ სამეწარმეო ბანაკში მონაწილეობის მისაღებად და სამეწარმეო პროექტების დასახვეწად²;
- მეოთხე ეტაპზე, ბანაკის შემდეგ, ახალგაზრდებს ექნებათ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა - აღნიშნულ ეტაპზე მოხდება: 1. სრული საგრანტო განაცხადების და მათი თანდართული შესაბამისი ფინანსური დოკუმენტების განხილვა; 2. ე.წ. “ფიჩინგი” (პროექტი პერსონალური პრეზენტაცია საგრანტო კომისიის წინაშე), სადაც მონაწილენი თვითონ წარადგენენ და დაიცავენ საგრანტო განაცხადებს; 3. საუკეთესო სამეწარმეო პროექტების ავტორების გამოვლენა და დაჯილდოვება საგრანტო თანხით;

² პროექტის ფარგლებში სავალდებულოა, რომ ყველა მუნიციპალიტეტიდან ბანაკში წარმოდგენილ იყოს ამ მუნიციპალიტეტიდან ყველაზე მაღალი შეფასების ერთი საპროექტო იდეის ავტორი (ან ავტორთა გუნდი) მაინც, მიუხედავად იმისა ასეთი შეფასებით ხვდება თუ არა საპროექტო იდეის ავტორი 15 საუკეთესო საპროექტო იდეების ავტორებს შორის.

- და ბოლოს, პროექტის განხორციელება და მონიტორინგი, როდესაც ფორმდება ხელშეკრულება გამარჯვებული სამეწარმეო პროექტების ავტორებთან და იწყება შესაბამისი პროექტების ბიუჯეტებით გათვალისწინებული შესყიდვები. დაფინანსებული პროექტები ექვემდებარებიან მონიტორინგს, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის მიხედვით.

7. როგორ შევავსოთ ტრენინგებზე სარეგისტრაციო განაცხადი, სად შეიძლება განაცხადების მიღება და ჩაბარება?

მუნიციპალიტეტებში ტრენინგებზე დასასწრებად აუცილებელია რეგისტრაციის გავლა ელექტრონულად. განაცხადების შევსება და გაგზავნა შესაძლებელია, წინასწარ განცხადებული პერიოდის განმავლობაში, RDFG-ის ვებ-გვერდზე. აუცილებელია, რომ მოთხოვნილი დოკუმენტაციის შემთხვევაში, მათი დასათაურება შეესაბამებოდეს შინაარსს! გთხოვთ, ასევე გაითვალისწინოთ, რომ ხელით შევსებული განაცხადები არ განიხილება!

8. რა საბუთებია საჭირო საპროექტო განაცხადის წარმოსადგენად?

მუნიციპალიტეტებში ტრენინგების გავლის შემდეგ, დაინტერესებული პირები ავსებენ საპროექტო იდეის ფორმას (ხოლო, ბანაკის დროს იწყებენ საგრანტო განაცხადის ფორმის შევსებას), რომლის ჩამოტვირთვაც შესაძლებელი იქნება RDFG-ის ვებ-გვერდიდან. აღნიშნულ ფორმას თან უნდა ერთვოდეს, შემდეგი დოკუმენტაცია:

- ფიზიკური პირის/პირთა ჯგუფის შემთხვევაში (მაქს. 3 პირი), ფიზიკური პირის ან/და ჯგუფის ყველა წევრის პირადობის მოწმობის ასლი/ები;
- ამონაწერი შემოსავლების სამსახურიდან, რომელიც ადასტურებს, რომ ფიზიკური პირის ან/და ჯგუფს არ გააჩნიათ დავალიანება სახელმწიფოს მიმართ;
- სამოტივაციო წერილი თუ რატომ სურს პირს გახდეს მეწარმე და განავითაროს საპროექტო იდეა;
- საპროექტო იდეის ე.წ. “კანვასი”.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, საგრანტო განაცხადების ფორმის და მისი თანდართული, სავალდებულო ფინანსური დოკუმენტების გარდა,

განმცხადებელს შეიძლება მოეთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის³ წარმოდგენა, რომელთა შესახებ წინასწარ დეტალური ინფორმაცია მიეწოდებათ.

9. ვინ და როგორ განახორციელებს შესყიდვებს?

პროექტით მოთხოვნილი რესურსების მიწოდებას განახორციელებს ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG), USAID-ის და შიდა რეგულაციების მიხედვით.

პროექტიდან მოთხოვნილი საგრანტო რესურსები განთავისუფლებულია დღეს-ს გადასახადისაგან!

10. ვინ განიხილავს საგრანტო განაცხადებს?

საგრანტო განაცხადებს განიხილავს საგრანტო კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, ვისაც გააჩნიათ მაღალი ნდობა და სტარტ-აპების დაფინანსების და/ან მხარდაჭერის დიდი გამოცდილება.

11. შეუძლია თუ არა შეფასების კომისიის წევრს საგრანტო კონკურსში მონაწილეობა?

საგრანტო კომისიის წევრს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საგრანტო კონკურსში.

12. რა სახის საქმიანობაზე გაიცემა ან/და არ გაიცემა გრანტები?

პროექტის ფარგლებში არ დაფინანსდება შემდეგი სახის საქმიანობა/ები:

- უძრავ ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობა) შეძენა;
- შინაური ცხოველის (პირუტყვის) და ფრინველის, ასევე ფუტკრის და ნერგების შესყიდვა;

³ მაგ.: სოფლის მეურნეობის და ტურიზმის სფეროს პროექტებისათვის სავალდებულოა პროექტის განხორციელების ადგილის (მიწის ნაკვეთი/შენობა-ნაგებობა) საკუთრების დამადასტურებელი, განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ხოლო თუ აღნიშნული არ არის განმცხადებლის საკუთრებაში, მასზე ოპერირების კანონიერი უფლება, მინიმუმ 5 წლის ვადით (მაგ.: გრძელვადიანი იჯარა და ა.შ.).

- საბრუნავი საშუალებების შესყიდვა (მაგ. სასურსათო მაღაზიის შემთხვევაში, გასაყიდი საქონელი);
- ხელფასები;
- ცალკეული პირების/პირთა ჯგუფის დაფინანსება სემინარებზე, კონფერენციებსა და კონგრესებში მონაწილეობის მიღების მიზნით;
- ისეთი ქმედებები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ცალკეული პირების ან ჯგუფების დისკრიმინაცია;
- ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითა და USAID-ის რეგულაციებით არის აკრძალული.

13. რა სახის საქონლისა და მომსახურების შეძენა არის ნებადართული პროექტის ფარგლებში?

პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია დასაშვები და დაუშვებელი ხარჯების ნუსხა. დასაშვებ ხარჯებს განეკუთვნება:

- სამშენებლო მასალები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და სხვა რესურსები;
- საყოფაცხოვრებო მომსახურებისთვის და კვების მრეწველობისთვის საჭირო ინვენტარი;
- ნებისმიერი სხვა საქონელი და მომსახურება, რომელიც არ არის მითითებული დაუშვებელი ხარჯებისა და საქმიანობის ნუსხაში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზემოხსენებული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. გრანტით გათვალისწინებული შესყიდვა საჭიროებით და გონივრულობით უნდა იყოს განპირობებული.

პროექტის ფარგლებში დაუშვებელია შემდეგი სახის საქონლისა და მომსახურების შეძენა:

- სესხები და სესხის მომსახურების ხარჯები;
- დანაკარგების ან სავარაუდო სამომავლო ვალდებულებების რეზერვები;
- საპროცენტო გადახდები;
- მიმდინარე საბრუნავი საშუალებები (საბრუნავი ხარჯები);
- სასესხო საშუალებები/კრედიტი მესამე მხარეებზე;

- ბენეფიციარის მიერ დეკლარირებული და სხვა პროექტით ან სამუშაო პროგრამით დაფარული ხარჯები;
- სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

14. შესაძლებელია თუ არა განმცხადებელმა წარადგინოს ერთზე მეტი საპროექტო განაცხადი?

შესაძლებელია მხოლოდ იდეების კონკურსის ეტაპზე, თუმცა დასაფინანსებლად შერჩეულ იქნება მხოლოდ ერთი განაცხადი.

15. შესაძლებელია თუ არა პროექტის განხორციელება ადგილზე (მიწის ნაკვეთი/შენობა-ნაგებობა), რომელიც არ არის გამცხადებლის საკუთრება?

პროექტის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რეგისტრირებულ ადგილას (მიწის ნაკვეთი / შენობა-ნაგებობა), რომელიც გამცხადებლის საკუთრებაშია ან/და გამცხადებელს აქვს მასზე ოპერირების კანონიერი უფლება, მინიმუმ 5 წლის ვადით (მაგ. რეესტრში რეგისტრირებული გრძელვადიანი იჯარა და ა.შ.)

16. ვინ იგულისხმება პროექტის პარტნიორებში?

პროექტის პარტნიორები შეიძლება იყვნენ როგორც კერძო, ასევე იურიდიული პირები და სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას პროექტის განხორციელებაში. პროექტში უშუალოდ მონაწილეობის მიღება წარმოადგენს ფინანსურ, მატერიალურ ან ინტელექტუალურ (საავტორო უფლება, სპეციფიკური ექსპერტიზა, ლიცენზია ან სხვა) წვლილის შეტანას განხორციელებაში. პარტნიორების პასუხისმგებლობები და უფლებები დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებების წარმოდგენით.

17. რა ვადაში იქნება ხელმისაწვდომი პირველადი შედეგები?

იდეების კონკურსის ეტაპზე, შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება როგორც RDFG-ის ვებ-გვერდზე, ასევე მიეწოდებათ ასეთ კონკურსში მონაწილე პირებს, საპროექტო იდეების მიღებიდან ორი კვირის ვადაში. ხოლო, საგრანტო კონკურსის ეტაპზე, შედეგების შესახებ ინფორმაცია კონკურსის მონაწილეებს მიეწოდებათ კონკურსის დასრულებისთანავე და ასევე გამოქვეყნდება RDFG-ის ვებ-გვერდზე, კონკურსის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში.

18. რა ტიპის პროექტები დაფინანსდა პროგრამის პირველი ფაზის ფარგლებში?

პროგრამის პირველი ფაზის გამარჯვებული პროექტებია:

1. გიორგი ხუროშვილი (გორი) – „ჭვავის და წიწიბურას პური და ორცხოხილა“ (6,000 ლარი)
2. სალომე ქარდავა (ზუგდიდი) - „სუკულენტები“ (6,462 ლარი)
3. გიორგი ნიპარიშვილი (კასპი) – „ხისა და ლითონის სახელოსნო“ / „ხალხური მუსიკის ინსტრუმენტების სახელოსნო“ (10,000 ლარი)
4. ესმა ციხელაშვილი (ასპინძა) – „პიკანტური“ მურაბები / „პიკან-ტური“ (3,600 ლარი)
5. ნაზი ანთაძე (ადიგენი) – „სამკერვალო ს. გომაროში“ (3,000 ლარი)

* * * * *

დამატებითი ინფორმაციისათვის, მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ ნომერზე და მისამართზე: +995 551 114 789; pabuseridze@rdfg.ge.

პროექტთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია, მათ შორის ხშირად დასმული კითხვები ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის RDFG-ის ვებგვერდზე: www.rdfg.ge.

პროექტს ახორციელებს ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG), USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, USAID-ის ზრდა აქტივობის ფარგლებში (USAID Zrda Activity in Georgia), რომლის განმახორციელებელია ამერიკული ორგანიზაცია “ქემონიქსი”. პროექტის მხარდამჭერი ორგანიზაციები არიან: “აწარმოე საქართველოში”, “შემოქმედებითი საქართველო”, “საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”, “სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო”, საქართველოს ეროვნული ბანკი, “თი-ბი-სი ბანკი” და ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია “კრისტალი”.